


# ლახტი



№ 5 კვირა, 6 აპრილი. | ერთი წლით ჟურნალი ღირს 2 მან. 50 კაპ., ნახევარი წლით 1 მან. 25 კაპ. წერალები და ფული უნდა გამოიგზავნოს შემდგომად აღნიშნულად: თბილისი. მუხრანსკაია 12, ჟურნალ „ლახტი“. | ფასი 5 კაპ. № 5

## ქრისტიანული ალსადგა!



საალღორო სიზმრაზი.

# კლდგომა

ზეცას მანხა ბნელი სუდასა —  
დაწველულებელა ტანჯულ გუდასა  
და მთა და ბარად განისმა ხმები: —  
აღსდგაო ღმერთი სიყვარულისა!..

მაწავ, თბოლო, მაწავ ტანჯულო,  
გვეო რაც ქვანვე ცრემლები მაწავ,  
დღეს შეიმოსე ასაღო ძალით,  
დღეს შენც აღსდგე და განისრე!..

გ. ლეონიძე.

## მ უ შ ა

აგებს კოშკებს, სრა-პალატთა  
თვალ უწვდენი გაჰყავს გზები,  
მან შექნა და მან ააკო  
დიდ კაცების დარბაზები...

მაგრამ დახეთ, იმ დიდ კაცმა  
დაიწუნა შემომქმედი  
დღიურ ლუკმად შეაფასა,  
მისი სვე და მისი ბედი...

ირ. ტოფაძე.

## კითხვა-პასუხი

— რა აკეთილშობილებს, რა  
აღფრთოვანებს, რა სწამოვს და გო-  
ნებას ურყევს ადამიანს?

— სიყვარული.

— რა არის ყველაზე დიდი უბე-  
ღურება?

— გადაგვარება.

— რა არის ყველაზე დიდი ბედ-  
ნიერება?

— ბრძოლის ველიდან გამარჯვე-  
ბრლი შვილის დაბრუნება.

— რა არის ყველაზე უფრო მძიმე?

— ცარიელი მუცელი.

— რაში გამოიხატება შურიანობა?

— მიჯნურთა ღალატში.

— რა არის ამოუცნობელი ამო-  
ცანა?

— ცხოვრება.

— რას ქმნის წუთი?

— სიკვდილ-სიცოცხლეს.

— რა რყენის კაცობრიობას?

— ერთა უთანასწორობა.

— როგორ იქცევა უსწავლელი  
ადამიანი?

— ყველაზე მეტს ყვირის ხმაურობს

— როგორ იქცევიან ჩვენი თა-  
ვებ“-,მამები“?

— სხვას უქადაგებენ ზნეობას და  
თვით უზნეობას სჩადიან.

— როგორ იქცევიან ჩვენი რე-  
დაქტორები?

— ჭორსა, ინტრიგასა, უზნეობა-  
სა, ლაქუცობასა, მუროთ გასვრილ  
ლიტერატურასა, შუღლსა, მტრო-  
ბასა და დეკნის ეთიკას ხელს უწყო-  
ბენ.

— როგორ იქცევიან მხეცი-კა-  
ცები?

— მუშტსა და უნამუსო სიტყვებს  
ხმარობენ.

სკოკი.

## ალარა გვეყვს

(ი. ჭავჭავაძის ხსოვნას)

ვინც გვიყვარდა ალარა გვეყავს,  
ვისაც ჰქონდა წრფელი გული,  
ბოროტებამ შეიწირა

და გაგვხადა მით ბედკრული.

მოკლეს გმირი, ხალხის შვირი,  
ხალხის გულის მოსაუბრე  
და შავს შიწას შიპარეს  
სულით წმინდა გრძნობიარი.

ალარა სცემს გმირის მაჯა,  
სამუდამოდ შეუჩერდა,  
მომართული მძლავრი ქნარი.

ალარა ეღერს — დასამარდა.

ნ. დავითიშვილი.

## სააღგომო

(ავტოსტახი)

შარი ქროლვით ზარსა რეკდა,

რიერაფი ახლოვდებოდა,

იროდ-პილატის სასახლეთ

საძირკველი ენგეროდა.

ტირილი შესწყდა მაშვრალთა,

მღვამ გაჰვანტა ღრუბლები,

აღმოსავლეთით მნათობმა,

ღამესა სტყორცნა სხივები.

სიმებს ჩამოჰკრა მგოსანმა

დაჰმღერა ხმები სამძიმო:

„ბანათლდი მართალთ სამეფოვ,

ახლო იერუსალიმო!..“

ს. ერთაწმინდელი

## ქალი

მდიდარი კაცი შესაფერ საცოლეს  
ეძებდა, მაგრამ გულით მოსაწონს  
ვერ მიაკვლია: ზოგის თვალტანა-

ლობა არ მოსწონდა, ზოგის ხასია-  
თი, ზოგის ზრდილობა და ასე.

ქალის ჩამომავლობას ყურადღე-  
ბას არ აქცევდა.

ბოლოს ერთი მშვენიერი ასული  
ნახა; მისმა მშვენიებამ დაატყვევა ის,  
მივიდა მასთან და განუცხადა:

— მე თქვენ ძლიერ მომწონხართ,  
ხოლო მინდა გავიგო: თქვენ თანა-  
ხმა იქნებით თუ არა ცოლად წა-  
მომყვით?

ქალი ძლიერ ღარიბი მშობლების  
პატრონი იყო, ბევრი რამ გაეგონა  
ამ მდიდარ კაცზე და მის აუარე-  
ბელ ქონებაზე და სიამოვნებით და-  
თანხმდა.

— ახლა საჭიროა გავიგოთ, ვი-  
ვარგებთ თუ არა ცხოვრების ერთ  
უღელ ჰვეშ. ამისათვის ერთ ადვილ  
წინადადებას ზოგცემთ: სამ დღეს  
ჩემი ქონება თქვენ ხელში იქნება;  
მოიხმარეთ, ხარჯეთ, როგორც სუ-  
რვილმა გაგიჭრათ, ხოლო ჩემი  
თანადასწრებით. ამით მე შეიძლება  
მომეცეს ცოტათი გავიგო თქვენი  
ხასიათი. შემდეგ თქვენც გამომცა-  
დეთ და თუ ისურვებთ — შევიროთ  
ერთმანეთით, — უთხრა კაცმა.

ქალი დათანხმდა.

მდიდარმა მას იმდენი ფული მის-  
ცა, რომ, მისი ფიქრით, ქალი მას  
ერთი წელიწადში ვერ დაჰხარჯავდა.

ქალი მაშინათვე უდიდეს მახლო-  
ბელ ქალაქისაკენ გაემგზავრა; საქ-  
მროც თან გაჰყვა.

ქალაქში ჩასვლისთანავე ქალი  
ტანსაცმელების მაღაზიისაკენ გაე-  
შურა.

— გადმოშალეთ უკანასკნელი მო-  
დის საუკეთესო ტანსაცმელები! —  
სთხოვა მან ვაჭარს.

— თქვენ უეჭველად ძლიერ კარ-  
გი ხარისხის გენდომებთ, მადმა-  
ზელო! — მაცოთრად უთხრა ვაჭარმა.  
რომელმაც ქალს მაშინათვე შეატყო  
ვაჭრობაში გამოუცდელობა.

— მაგას რა ლაპარაკი უნდა! — მიუ-  
გო ქალმა.

ვაჭარმა გადმოაღოა უბრალო  
ტანსაცმელები, მოდაზე შეკერილე-

ბი, ხოლო ფასი — ერთი-ათჯერ მეტი მოსთხოვა.

ქალმა საქონელს ცოტა ახედ-და-ხედა და შეუვაჭრებლად მისცა, რა მოდენიც ვაჭარმა მოსთხოვა.

საქმრო ხმა ამოუღებლივ უყურებდა ყველა ამას.

შემდეგ ბევრ სხვა მალაზიებშიაც შევიდნენ და რა და რა არ იყიდეს.

— ამასობაში მხოლოდ ნახევარი დღე იყო გასული წინადადების მიცემიდან.

— აგერ აფიშა! „ტანცავალნი ვეჩერი“. ახ, რა კარგია! ამ საღამოს აქ წავიდეთ! — უთხრა ქალმა აღტაცებით. — აგერ მეორე აფიშა, წარმოდგენის დიდებული პიესაა, აქ წავიდეთ! — ურჩია საქმრომ.

ქალი ამაზე არ დასთანხმდა და ორივენი საცეკვაო საღამოზე წავიდნენ.

ახალ მოდაზე ჩაცმულმა ქალმა იქ ბევრი იმხიარულა, იცეკვა და ბევრი ყმაწვილებიც გაიცნო.

მეორე დღეს მან უთხრა საქმროს.

— ახლა რომელ-მე სხვა კარგ ქალაქში წავიდეთ, იქნებ იქ ვიპოვო რამე უკეთესი!

— გზა დამოლოცნია, ჩემო კარგო! სამი დღის შემდეგ თუ შემოგაკლდეს ფული, მაცნობე და კიდევ გამოგვიზავნე! — იყო პასუხი.

ქალი მაინც გაემგზავრა მეორე ქალაქისაკენ, რადგან ფული კიდევ ჰქონდა.

მდიდარი კაცი კვლავ შეუღდა საცოლოს ძებნას...

არ. ფანცულაია

### საალდგომოდ

(მილოცვა აკაკის)

ხელში ავადე, დიდო მგოსანო, შე ჩემი ჩაუნგი მწა კაღამი და გახვიჩრახე, რომ მოწიწებით დღეისთვის კიდვნათ ნორჩმა სსაღამი.

— დიდება თქვენდა, ქართველთ მოხუცო, რომ განგივლიათ მაგდენი წელი; ისე უაფიფხარტ მუდამ ბრძოლაში, არ შეგიშვიათ კაღმისთვის ხელი?

იმას გასურვებთ აწ მომავალშიც, რომ მოგცემოდეთ ღომ-გმირის ძაღი;

გებრძოლთ კიდევ მაგ კაღმის წვერით და გაგეგმირთ მტრისათვის თვალი.

არ გელადატნათ წმინდა რწმენისთვის, არ დაგენგრიათ ჩაგრულთა კერა; არ მოგეკვებოდეს თქვენი იმედი, არ შეგაწევიტთ ღეკსებთა წყარა!!  
„ა—ტი.“

### საალდგომოდ წაკლაგი

გაზ. „აზრს“.

აზრი მხოლოდ სახელათ გაქვს, შინაარსით უაზრობა.

ვერ უყურებ, რომ თანდათან გეკარგება თანაგრძნობა?

გაზ. „თემს“.

არ იქნა, ვერ გამოიძრკვა შენი აზრი და მისისა; წაჯექ და უკუჯექობა რა შენი საკადრისია?

ჟურ. „კლდეს“.

ნურაფერი შეგაშინებს მაგრათ იყავი კლდესავით; ნორჩ, ქართველ ბურჯუაზიას ვერვინ დაიცავს შენსავით.

გაზ. „იმერეთს“.

სასროლები ბლომათა გაქვს, არ გაკლია აღარც ერთი; ბორჩალოს ეპოტიენები არ დაჰკარგო იმერეთი.

გაზ. „შრომას“.

ციტატები ძან გიყვარს და შენის თქმა კი არაო; შრომა რომ სახელად გერქვას მარტო ეს როდი კმარაო.

გაზ. „იმერეთის“ თანამშრომლებს

შეიარაღებული ხართ ბუკით, ტყვიით და ისრებით; მრწამს, რომ ქართველ ხალხის მხსნელი ბოლოს მაინც თქვენ იქნებით.

### ჭიათურის მუშებს.

მუშა გინდათ გაზეთებში, მუშა გინდათ დებუტატად; უმჯველად თქვენი საქმე წინ-წინ წავა ერთი-ათად.

წ. კ. გ. საზოგადოებას.

წერა-კითხვა თუ ვრცელდება ყველა თქვენი წყალობაა; სტიპენდიის გაყოფაზე ისევე ნათლი-მამობაა?

### ქართველ სამღვდლოებს.

ტაბლის ქამაში მარჯვე ხართ, საქმეში კი მხდალებიო;

ყველა თავზე წამოვაჯდათ გაახილეთ თვალებიო.

### ქართველ მოსწავლეებს.

ქართულს კარგად რომ ვერ სწავლობთ მშობლებს ბრალს სდებთ ამაშია. თუ კაცი თვითონ არ ვარგა, მშობლები რა შუაშია. სამშობლო და საქართველო გახსენდებათ სარდაფებში; ნეტავ ღვინის სმაში რომ ხართ, ისე მარჯვე იყოთ სხვებში.  
კლიაოზნი კაცი.

### ვიზიტები

(სამტრედიისთვის)

ბა—მს.

მეტიჩრობას ხელი უშვი გვერდზე დადე აქანქრება, „სელოს-ძმას“ რომ მუდამ ლანძღავ განა ეს კი გეკადრება?

მეძის.

საქილაოს გოცხს ტყავს აძრობ, აქ მოდინარ კარტში აგებ, სინილისი არ გაწუხებებს ჯიბგირებში რომ ტრიალებ?

ადე—ლს.

გრიშაშვილი მისთვის არ სწერს, რომ შენ ჰკოცნო ბარიშნები, თვალში ცრემლი რომ გადინა, კოცნამ იყო თუ არ ვცდები.

არტინსტამს.

რეცენზია ვერ გიშველით, როლებს უნდა შესწავლება, და თუ ასე კვლავ განაგრძეთ „ლახტი“ თქვენ არ აგშორდება.

ბაჰარისტამს.

აი თქვენი გასართობი: ბაქარა და ნარდი კარტი, და მიტომაც შევიძინე დასახელათ თქვენთვის „ლახტი“.

რ. ბ. კლუზს-

ხშირათ დავდგამ ლექციებსო, რომ შეგვპირდი ჩვენო კლუბო, გვილალატე? არ გრცხვენია? მალე ვნახე შენი კუბო.

ბარნაბს.

წყნარი, ნაზი და ფაქიზი შენისთანა მომუშავე, სად არ ვიყავ, ვერსად შეგხვდი მე შენს გარდა ვერვინ ვპოვე.

ვაჰარამს.

ექვს დღეს ნოქრებს ამუშავებთ წარამარა ატრიალებთ, რომ უქმ დღესაც არ ასვენებთ, სინილისი არ გაწუხებთ?

კოდარა.

# გოლგოთა



ქრისტეს აღდგომის ულოცავს სატრფოს.

დამეა, ბნელა, დუმილია, სწუხს აკე-მარე,  
 შავ ჭანუ-ბურუსში გახვეულა ტეე მკლავიარე.  
 სადღაც მარაგში მიმალულან მნათობნი ცისა,  
 სიამაუენი და ნუგეში დედამიწისა.  
 სიო არ იფერის, არ შრიალებს არცა ფოთოლი,  
 შეჩერებულა მოუსვენარ კაცთა ჩრქოლი.  
 შემწვადარა კლდისა ნაკადულის ნაზი ჩხრიალი,  
 ბუმბურაზ მთისა სტიქიური ზვავის გრიალი.  
 თითქო ქვეყნად არსებობს სრულად გამქრალა,  
 სულაერთათვის ცხფრებისა წყარო დამშრალა.  
 მხოლოდ იუდა დანავარდობს ეკლას გზაზე.  
 და იქ დარაჯნი ხარხარებენ გოლგოთას მთაზე.  
 იქ ცოდვით სავსე დედამიწა სიღრმეში გმინავს,  
 იქ დიდ ღოდის ქვეშ დამარხულსა დუთის მტნებას სძინავს.

## 2

შუადამისს უცებ ბნელში განათდა გორა,  
 ცის ანკელოზმა იგი ღოდი გადააკორა.  
 შეიარა მიწა, ახმაურდნენ მთანი და ველები,  
 ზარდამცემულნი ძიხს გაერთხენენ საფლავის მტველები.  
 გაქქრა ეშმაკი ქვეყანაზე ცოდვის მფრქვეველი,  
 გაქქვა იუდა, აქროს მონა, ფარისეველი.  
 გაისმა უველგან აღფრთოვნებით ხმა ადღგომისა:—  
 აღარ არისო, დაჩაგრულნო, დრო დაგრდომისა!  
 მოედო ზარი საფრებო და სხანტრედი,  
 დილის ნაფმა გადაჭყარა შავი დრუბედი.  
 ბრწყინვალე სხივი ცხფრელ მზისა ცაზე თამაშობს,  
 ბოროტთა სამუოფს, აფსუდტ ჭაბოს ნელ-ნელა აშრობს.  
 წითელი კვერცხი დღეს მის ნიშნად დაგვრათ კირკიტად,  
 დაიდ მომავალს მიყვებოთ ჩვენც ჭეშმარიტად!..

გ. თეძმისხველი.

## თავადი აქიზთან

— ბატონო ექიმო! საშინელი სენი მაწუხებს, გთხოვთ რიგიანი რამ წამალი გამომიწეროთ ამ სენის განსაკურნად.

— რა გტკივთ?

— ყოველი სხეულის სახსარი ძალზე დასუსტებული მაქვს, გული მიხურდება, სული მეხუთება, ყელში მაყიპყიპებს, ხახა მიშრება, თვალთ მიბნელდება, სმენა მეკარგება და გრძნობა არეული ვარ ხოლმე.

— ამ ჟამად თქვენ ამგვარი ავადმყოფობის არა გეტყობათრა

— ეგ იმიტომ, ბატონო ექიმო, რომ ჯერ დილაა.

— მხოლოდ მაგვარად, შეყვა-

რებულები ჰხდებიან ავად, უნაყოფო პაემნის შემდეგ...

— მეც შეყვარებული ვარ, მესარდაფე ჰერვანდაზე! მისი სიყვარული - მის სარდაფშივე მანარჩუნებს: გაბრუებულს, შინ წასვლის თავი აღარა მაქვს ხოლმე!..

— აი ამ რეცეპით იყიდეთ „ვი-სკი“, სვით დღეში ორჯერ დილა-სალამოს ღვინის ჭიქით ხუთ-ხუთი. ზევ მინახულეთ კიდევ და მიაბმეთ, როგორც იმოქმედოს თქვენზე მაგ წამალმა.

— თქვენი გასამრჯელო, ბატონო ექიმო, ჩემზე დარჩება!..

— მოითმინეთ, თავადო! მაინც და მაინც... ეეე... რა გქვიან... ჰო, თქვენი მოსვლა ჩემთან მეორეთ, საჭირო აღარ არის!.. მაგ წამლის გა-

თავების შემდეგ, მე გირჩევთ მეგობრულად, ის თქვენი შეყვარებული შეირთეთ და სამუდამოდ განიკურნებით!

— გმადლობთ დარიგებისთვის!.. მე წავალ და ჩემს ცოლს გამოვგზავნი თქვენთან ამ გვარი რჩევის მისაღებათ...  
 ჰიქიკო.

## ახალი მოქალაქე

### I

— რომ იტყვიან ანდაზას: „სიბერემდის სიქაჩლე გეწეროსო“ სწორედ ზედ გამოქრილია ჩემზე!..— წარმოსთქვა მამა ჯამულეთმა და ერთ დროზე გამხდარ-გაყვითლებული და ეხლა კი სისუქნით დაბერილი ხელები კუ-



სააღდგომო ძღვენი ნათლიასთან.

როსხელ მუცელზე დაიკრა. გაახსენდა ძველი განვლილი დრო, როდესაც ცარიელი პურით ძლივს იძლობდა კუჭს, გაახსენდა აგრეთვე თავის ძველი ყოფილი ამხანაგები, რომელნიც ეხლა ვინ იცის რომელ მხარეს, რომელ კუთხეში დაფავენ სულს და ეს კი არხინად წამოწოლილა მხარ-თემოზე და მხოლოდ ქამა-სმაზე ფიქრობს. მამა ჯამულეთს ხან მოედრუბლებოდა სახე ამ მოგონებით და ხან კი ეშმაკურად ჩაიღიმებდა.

— ეს ქვეყანა თვალთმაქცობაა, ქვეყნის გადაბრუნებას იფიქრებდნენ ჩემი ამხანაგები და იმას კი არა, რომ მე ოდესმე მოძღვარი გავხდებოდი. საწყლები, რა გულ-ზღბრყვილოა ზოგიერთი, რასაც პირით ეტყვი საქმითაც ის გონიხარ, ის კა არ იციან, რომ მდგომარეობა ქმნის კაცს. ტყუილად კი არ არის ნათქვამი: „მაძღარს მშვიერიც მაძღარი ეგონაო“. რომელი კაცი არა სცდილობს პირადი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად!.. — უკანასკნელი სიტყვა თითქმის ხმა-მადლა წარმოსთქვა მამა ჯამულეთმა, წაოღვა ზეზე და სარკის წინ გაჩერდა, შავი თმა გადივარცხნა, უღვაშები გადიგრიხა, წვერი გაისწორა, ამოიღო თავის ძველი სურათი და შეადარა ახლანდელ სახეს.

— ფოფოღია, ფოფოღია, მოდი გენაცვალე რა გაჩვენო, მოდი, აბა დააკვირდი ჩემს ძველ სურათს, რას ვგავდი წინად და რას ვგვევარებლა? რა დიდი განსხვავებაა!.. სწორედ დროზე მომესწრო მღვდლობა, თორემ აქამდის რომ იმ ჯოჯოხეთ და დაწყველილ სამუშაოზე დაგრჩენილიყავ ჩემი ძვლებიც აღარ იქნებოდა!.. — წარმოსთქვა მამა ჯამულეთმა და ცოლის წინ მდიდურად გაჩერდა.

— ეხლა გენაცვალოს ჩემი თავი ჯანზედაც გვარიანად ხარ, ფერზედაც სწორედ მოციქულსა ჰგვებარ!.. ამ სიტყვებთან ერთად ბეჭებზე ხელი დაჰკრა ცოლმა. ამ დროს საღამოს ლოცვის ზარიც დაირეკა, რადგან აღდგომის დიდი შაბათი იყო. მამა ჯამულეთმა გადაიკვა თავის ახალი ანაფორა და გასწია ეკლესიისკენ.

II

მიდიოდა მამა ჯამულეთი ეკლესიაში ნელის ნაბიჯით და თვალწინ ეხატებოდა წარსული და აწმყო. აგონდებოდა წინანდელი ყოფა-ცხოვრება; წინანდელს რომ ახლანდელს აღარებდა ზღაპრულათ ეჩვენებოდა თავის ცხოვრება. მართლაც რას მოიფიქრებდა თუ უსწავლელი კაცი, სოფლის მოძღვარი შეიქნებოდა, როდესაც ეს მარტო სასულიერო სწავლა დამთავრებულთა ხვედრი იყო.

— ეჰ, ალბათ ყველაფერი იღბალი და მოხერხება ყოფილა! — ფიქრობდი ჯამულეთი და თან შუბლს იკმუხვნიდა.

საჭიროდ მიმაჩნია აქ ცოტათ მაინც გავაცნო მკითხველს მამა ჯამულეთის წარსული.

მართლაც ჯამულეთს თვალითაც არ ენახა სკოლა, რადგან მშობლები ლარიბები ჰყავდა და ბევრიც რომ სდომებოდათ შვილის სასწავლებელში გამოზდა ვერ გაზდიდნენ. ამისათვის პატარა ჯამულეთი თავის ნათესავ მღვდელთან იზდებოდა, ხშირად ეკლესიაში დაიარებოდა და ხელზე ემსახურებოდა. მალე ისწავლა ქართული წერა-კითხვაც, ამასთანავე შეისწავლა ხუცურის კითხვა და



ქრისტე აღდგა!

ქრისტე აღდგა! ნათლიამამე, მოგილოცავ აღდგომასა, სიმხიარულეს გისურვებ კარგ ძმობა-მეგობრობასა.

— ქეშმარიტად! გენაცვალე, შეგაწიოს ქრისტე ღმერთი, აღდგომის ნიშნად, თევდორე, კვერცხს დამიკა აბა ერთი!

მერე სახლისკენ წავიდეთ, ქვევრი მოვხადე ახალი, გადავკრათ ჩვენებურადა და ვადღეგრძელოთ მართალი!..

პ. დ—ნელი.

ხშირად დიაკვის მოვალეობასაც ასრულებდა ხოლმე. როდესაც მოიზარდა მოთხოვნილებაც მოემატა, ამისათვის შემოსავლის წყაროს სხვაგან დაუწყო ძებნა. იშოვა ცოტათოდენი გროშები და ერთ მშვენიერ დღეს სოფ. ლ—დან მატარებლით გამოემგზავრა ტფილისისაკენ. ტფილისში გაიცნო ამხანაგები, თავის სოფლიდან წამოსულნიც ბევრი ნახა და ამათის დახმარებით ტფილისის ერთ-ერთ ქარხანაში მალე ადგილი იშოვა და საკმაო ფულსაც იღებდა. მან მალე დაინახურა ამხანაგების ყურადღება თავის მოქნილი, ფლიდი ენით და მოწინავე მუშის სახელიც მოიხვეჭა; „მარქსიზმის“ უკიდურეს დამკველად მოჰქონდა თავი და იმის ფიქრით ვინც მუშა არ იყო, ყველას მუქთა მკამელად ნათლავდა. მღვდლები ხომ დასანახავადაც ეჯავრებოდა.

მაგრამ ცვალებადია ადამიანი, მე-რე იმისთანა, რომელიც გროზზე გასცვლის ყველაფერს!.. დიდხანს არ გაგრძელებულა ჯამულეთის ქარხანაში ყოფნა, რომ არეულობები დაიწყო, მუშათა გაფიცვაც ზედ მოჰყვა, რომლის ერთ მოტრფილეთაც თვით ჯამულეთი ითვლებოდა. მაგრამ გადიარა ქარტეხილმა, მიწყნარდა ხალხი, მიბინარდა. ისევ ძველ ყოფა-ცხოვრებას დაუბრუნდა. ჯამულეთმაც უარჰყო თვისი წინანდელი რწმენა და სულ იმის ფიქრში იყო თუ სად ეშოვნა მყუდრო, უზრუნველი ცხოვრება. ერთ კვირა დღეს ჯამულეთმა სამკითხველოში შეიარა, გადაათვალიერა ქართული გაზეთი და შემდეგი ამოიკითხა: „მღვდლობა ყველას შეუძლიან, ვინც ქართულში ეგზამენს დაიჭერსო“. ამ ამბავზე თავ-ბრუდაესხა, ხელები აუკანკალდა და იქლამეს სიზმარშიც კი მღვდლობა ესიზმრებოდა. ჯამულეთი იმ დღიდან შეუდგა მზადებას და თავის ამხანაგებს მანამდის არ გაუგიათ, სანამ ანაფორით არ მოევიდნა თავის ახალ სამწყსოს.

III

შუა ღამე გადვიდა. მილეთულ-მოზერებულ მთვარეც გაღიხარა დასაველეთისკენ, თავის მკრთალი ნათელი უფრო მკრთლად მოჰფინა მიდამოს. ხოლო ვარსკვლავებმა კი უფრო ციმციმი იწყეს. მამლებმა მეორეთ მორთეს ყვილი და ამცნეს მიძინებულ სოფელს დიდებული განთიადი. გაისმა ცისკრის ზარის წკრიალიც, რომელიც მოუწოდებდა მორწმუნეთ ეკლესიაზე დასასწრებად, რომ იქ შეგებებოდნენ ქრისტეს აღფგომას.

ზარის წკრიალზე სოფელმა გაიღვიძა, ახმაურდა, ყველა ეკლესიისაკენ მიეშურებოდა. ბავშვების სიცილ-ხარხარს ხომ საზღვარი არა ჰქონდა.

მამა ჯამულეთიც შეიმოსა და შეუდგა მღვდელმოქმედებას. ის იყო გათენდა კიდევ, რომ ლიტანია შემოუარა და შემდეგ სასაფლაოზე გაეშურა საკურთხად.

სასაფლაო რაღაც სამწუხარო სურათს წარმოადგენდა. ყველა მიცვალებულთა საფლავზე უხვად ელაგა საკურთხად მიტანილი: პასკა, ბატკანი, კვერცხები და სხვა. ხოლო აქა-იქ გაისმოდა ჩუმი ქვითანი ჭირისუფლებისა.

— აბა, ი დიდი ხურჯინი რომ არ წამოიღე, სად დაეტევა ამოდენა საკურთხები ერთ ხურჯინში, ხომ ხედავ რამდენია?!.. — უთხრა ღიმორელმა ჯამულეთმა მედავითნეს და ხელი საფლავებისაკენ გაიშვირა.

— იყვეს რამე, მღვდლო, თორემ ხურჯინს სხვასაც ვიშოვით!.. — მიუგო მედავითნემ და ხურჯინისთვის დაფაცურდა.

მშემ კარგა შეიმალა, რომ საფლავების კურთხევას მორჩა მამა ჯამულეთი. მას ძალზე ჰქონდა მარჯვენა ხელი დაღლილი საცეცხლურის ქნევით.

— ეჰ, ძალზე დავიღალე, ამოდენი საკურთხები შარშანაც არა ყოფილა!..

— მოიღლებოდი მაშრა მოგივიდოდა, რაც შენ იძახე; „პასკა უფლისა, პასკა მღვდლისა და დიაკვნისა“! — გადაიხარხარა მედავითნე და სავსე ხურჯინი ერთი გლექს წამოჰკიდა, მეორე თითონ წამოიღო ზურგზე და გამოსწიეს სახლისკენ. მამა ჯამულეთი კი ნელის ნაბიჯით მოდიოდა და თან თეთრ ფულს ითვლიდა. რას ფიქრობდა ამ დროს ახალი მოძღვარი, თვით მკითხველმა გამოიცნოს!

კ. დვანელი.

სააღდგომო მილიუსვა

(საწესრეჯებს)

მამედს

გისურვებ სიმხიარულეს სქელ-სქელ ბაჯების ლხენასა, პოდნოსით კარტსა მოგართმევ, ეგებ შეხედო ზენასა.

სანოს

მომილოცავს ეგ სიღინჯე აჩქარება რომ არ იცი, კაცმა პირში, რომ გიძრახოს არ შეგრცხვება კარგად ვიცი.

ქარაპეტს

აღაბსა ხელი გაჰკარი ენას უმატე ნელო, რაც, რომ შენ ჩავიდენია, როგორ მოგიყვე ყველაო.

აღბს

ქრისტე აღსდგა, ქეშმარიტად, სიკვდილითა—სიკვდილისა, ნუ გგონია შენც, რომ აღსდგე, შენ ხარ კაცი სულ ძილისა.

ბ-ნს

ორი შაურით გენაცვა, კარტსა მოჰკიდე ხელია, ფული მოიგე და მერმე საქმელი ქამე ცხელია.

ლ-მს.

გისურვებ ბავშვების ცემა შეგესწავლოს ხელოვნურად, ტლანქი ხელი მას შეახე, ვინც დასახო უგუნურად.

ბ-ჟს

ქრისტეს მცნება მას გვასწავლის არ გადუდგტ სიმართლესა, სჯობს მტყუანი გავამტყუნოთ და არ აფყვეთ მხოლოდ „ერთსა“

ინტელიგენტს

შენც გილოცავ გენაცვალე, ჩემო ენა ტანიო, ძმა, რომ ძმაზე გადაჰკიდო რატომ არა გრცხვენიაო.

სირცხვილია, „ნასწავლი“ ხარ, ხალხს ნუ აძლევ მაგალითსა, თორემ ბოლოს ბევრს ინანებ და დაიკვნეტ მაგ შენს თითსა. სიკინჯალა.

ქუთაისის რამე-რუმე

მრეწველთა საბჭომ გახსნა კანტორის და კანცელარიის გამგის, მართველის, ზედამხედველის, მეთვალყურის, უფროსის და ხელმძღვანელის 6 ახალი ადგილი, ჯამავირი თითოს 4321 მან. და 7 კაპ. წლიურად; არც განათლების და არც ქონების ცენზი არ არის საჭირო, ვინაიდან საბჭო დემოკრატიულპრინციპებს აღიარებს. საქმეები თუმცა ბევრია, მაგრამ საკეთებელი კი არაფერი. შეიძლება იოლად წასვლა. გიორგი კეთილი კაცია და არ გაწყრება. 12 საათზე „პრიკუსკით“

ჩაის დაღვევა ყველასათვის სავალ-  
დებულაა.

მოხდა ესდევების ორივე ფრაქ-  
ციის შეერთებული საგანგებო კრე-  
ბა და დაადგინეს: „ვინაიდან ქუთა-  
ისის მცხოვრებთა უდიდეს ნაწილს  
ლატაკნი და ბოგანონი შეადგენენ და  
ესენი ისედაც იოლას მიდიან, ამი-  
ტომ არავითარი ტრამვაი, წყალსა-  
დენი და კანალიზაცია არ არის სა-  
ჭირო. ეს განზრახვა ჩვენებური ბუ-  
რჯუაზის მოგონილია, მათი ჯობე-  
ბის დასასქელებლად და ყოველი  
ლონე ვიღონოთ ამ კონცესიის ჩასა-  
ფუშათ და მით ნიკოლაძეს კუდის  
რიკი აუწვიათ“.

მრეწველთა საბჭო იწვევს ჭიათუ-  
რისთვის რამდენიმე მასწავლებელს.  
არავითარ ცენზს და პირად ღირსე-  
ბას არ აქცევენ ყურადღებას. საჭი-  
როა მხოლოდ „საიმედო“ პირის რე-  
კომენდაცია და ბატონ ივანეს პრო-  
ტეკცია. უპირატესობა ეძლევა ლა-  
ქიობაში კარგად გაწრთვნილს რო-  
მელიმე პირველ ხარისხივან სასტუ-  
მროს მსახურს. პედაგოგია და მისი  
პრინციპები აქ მეტი ბარგია, არ სა-  
ჭიროებენ. თხოვნები უნდა გამოი-  
გზავნოს ამ ზაფხულამდის სოფ-  
კაცებში.

ბრწყენია.

### ჩვენებური ამბები

**ხაშური.** როგორც გავიგეთ. ხა-  
შურის უფასო სამკითხველოს გამგე-  
ობას არ მოსწონს თურმე ქალა-  
დები, რომლებზედაც იბეჭდება ქუ-  
რნალ-გაზეთები: „განათლება“, „თე-  
ატრი და ხელოვნება“, „შინაური  
საქმეები“, „ლახტი“, „მათრახი“,  
„კოოპერაცია“, „ბათუმის გაზეთი“,  
„ხმა კახეთისა“, „შრომა“ და ამი-  
სათვის ისინი სამკითხველოსთვის არ  
გამოუწვრიან. რუსულ ქურნალ-გა-  
ზეთებში ნება დართული აქვთ  
„ოგონიოკ“-ის და „ზაკავკ რეჩი“-ს  
რედაქციებს, რათა გზავნონ თავიან-  
თი გამოცემები. როგორც ეტყო-  
ბა, სამკითხველოს საქმე ჩინებულად  
ყოფილა დაწყობილი! სამკითხველოს  
სხვა მხრითაც აჩნია გამგეობის და-

ულალავი ზრუნვა. სასურველია სხვა  
ჩვენი დაბების სამკითხველოების გა-  
მგეობებმაც მიჰბადონ აქარუს.

ახო.

**თელავი.** როგორც სარწმუნო  
წყაროებიდან გავიგეთ ბ-ნ ლუკა-  
შვილს განუზრახავს თელავის შემ-  
ნახველ-გაასესხებელ ამხანაგობის კა-  
სა გადააკეთოს საორსულო კასად,  
რადგან იმის ბუღალტერობაში უფ-  
რო გამოცდილია და გამორჩენაც  
უფრო მეტი ექნება. ამას გამო მო-  
უწვევია ობერ-კასირათ დახელოვნე-  
ბული კარტის მოთამაშე გ. კიკვიძე  
(თავისი სიძე). ამ ორი მოწვევის გა-  
მოცდა მოხდა ამ ცოტახანში და რა-  
დგანაც რევიზორს კარგათ ჩაბარეს  
კაკვეთილები და იგიც მადლიერი  
დარჩათ, ამისათვის ბ-მა ბუღალტე-  
რმა 60 მ. მოითხოვა, ობერ-კა-  
სირმა კი 25 მ. რის შემდეგაც პა-  
ტივცემულმა წევრებმა ტაშის ცემით  
დააჯილდოვეს და თუმანი კიდევ  
შაჟმატეს. ბ-ნ ბუღალტერმა ეს შე-  
ურაცყოფათა სცნო და 10 მ. უკან-  
ვე აჩუქა წევრებს. ამის შემდეგ 16  
პარტს მადლიერმა პირებმა კიდევ  
დანიშნეს მითომ და საგანგებო კრება  
მართლაც რომ ამ ორ პირისთვის  
საგანგებო კრება გამოდგა) და გა-  
თამამებულმა პირებმა მოითხოვეს  
კიდევ ჯამაგირის მომატება: ლუკა-  
შვილმა 100 მ. თვეში, კიკვიძემ კი  
ისინი დისა და 30 მ. დასჯერდა,  
რახედაც ამ ორი პირის მოულოდ-  
ნელმა გაფიცვამ და უსამართლო  
მოთხოვნილებამ გამგეობაში და წევ-  
რებში დიდი მითქმა-მოთქმა გამოი-  
წვია. როგორც წევრებისაგან გავი-  
გეთ თურმე ეს ორი პირი, რო-  
გორც საზოგადო საქმის მოყვარენი,  
ისე შემოპარულან, პირველში უკი-  
სრიათ უსასყიდლოთ სამსახური,  
ახლა კი ერთბაშათ ისეთი ნახტომი  
გაუქეებთიათ, რომ როგორც სჩანს  
მთელი ბანკისა და წევრების მოგება  
ამათ არ ეყოფა. აი საზოგადო მო-  
ღვაწეობაც ასეთი უნდა! გურჯი.

**ხ. ნიგოზიტი.** ნიგოეთის სკოლის  
ზედამხედველი ფილიპე ჩოჩია, კარტის  
თამაშის დროს ძლიერ გაულახავს

ბ. გოგეშვილს. თუმცა თვალები მო-  
ურჩა, მაგრამ ზაფხულში დაბრძავ-  
ებიაო, ასე ამბობენ აქაური „ფერ-  
შლები“.

ის ორასი მანეთი, რომელიც გა-  
მოახლათერთა ალექსი ასკურაყამ  
ღირეკციისაგან სკოლის „რემონტი-  
სთვის“, ვეჭილებს უკვე შეუხანხ-  
ლავთ. მასწავლებლები ეუბნებიან  
ვეჭილებს, მარტში რომ ასეთ წვი-  
მებს არ დაეწყო, არაფერს ვიყიდ-  
ითო. ეხლა კი ძლიერ შეგვაწუხა  
ლოგინების თრევამ, რადგანც ერთი  
წვეთი წვიმაც კი არ იცდის სახუ-  
რავშიო.

თა—რა.

### დ ე კ ე შ ა

**დ. ლანჩხუთი.** „თემის“ კორეს-  
პონდენტს ბ-ნ „აკოს“ რამოდენიმე  
კოცნა უძღვნეს, იმ შავის თეთრათ  
გასაღებაში, რომელიც ამას წინად  
გამოაქიკიკი-გამოაქიკიინა.

დრამატიულ გამგეობას განზრახვა  
აქვთ თეატრში წელს ხუთი კარო-  
ბკა ყაჭი დაისვას.

ამ მოკლე ხანში აქ სდგამენ წარ-  
მოდგენას. წარმოდგენილი იქნება  
„უტაქტიკო ღალატი“ დრამა ვლ.  
ბარველისა ხუთ მოქმედებად და  
თექვსმეტ სურათად. რეჟისორად  
იწვევენ შხანკოლას. ნუცახელი.

**სახხმარი.** „ლონტულას“ ხელ-  
გაშლილი არშიყობისა გამო კომფე-  
ტები აღარ იშოვება, რითაც „ბა-  
რიშნები“ დიდ საგონებელში ჩაცვიფ-  
დნენ. ამიტომ ვთხოვ ტფილისის  
კომფეტის დიდ ფირმებს გამოგზავ-  
ნონ შემდეგი ადრესით: „ბეზ კვარ-  
ტირნი ჩალავეკ, არშიყობსკი ული-  
ცა, ხან იქ სძინავს, ხან აქ ხვრი-  
ნავს. პოლუჩიტ დეისტიტელნი  
სტატსკი სოვეტნიკ, ნებრემენნი  
ჩლონ არშიყოვსკავო კლუბა ლევან-  
დია-ლონტულა ბარანოვსკი“.

სააღდგომოთ სტოლის არავინ არ  
მართავს, ამიტომ თითო ოჯახმა თი-  
თო თუმანი გადადო დამშეულთა  
სასარგებლოდ. სიკინჭალა.

**ლანჩხუთი.** მამასახლისმა დიმი-  
ტრი ცინცაძემ განაცხადა თეატრი  
მე მეკუთვნისო, რადგან კალემ უარი



ტფ. ვაჭრებს.

უშველებელ კვირებს გილოცავთ მძიმეა და მაგარიო, განურჩევლად ყველა ყვლიფეთ მშობიარჯფეთ დაფთარიო..

უთხრა, ამისთვის იძრო ხანჯალი და კინალამ მოჰკლა.

**ჩიბათი.** ილია ქანტურია ჯერ კვლავ დათარეშობს. საზოგადოება ამ მოკლე ხანში უპირობს იუბილეს გადახდას. სიტყვის თქმას აპირობენ მისი ჰკუის ხალხნი.

**უზუზუთი.** ქ-ნი ანეტა ბერიძის საქციელს აღარ ეღება ბოლო და დათარეშობს კვლავ. მგონი გროზ-ლოვიც დაუშვებობრებია. თა-რა.

**ბათუმი.** ი. მ. კახიანმა გაიცინა. მომსწრენი ამბობენ, კიდევ ამ ცა-მეტი წლის წინად გაიცინაო. ერთი ძალზე ხნიერი ბებერი კაცი ამბობს, თქვენ ჯერ ბავშვები ხართ და მე ისიც მახსოვს, რომ მაგიერი გამარ-ჯობაც უთხრა კაცებსაო. შორიე.

**სენაქი.** ვინ ამ თვეს სენაკში ჩა-მოვა ცნობილი ლექტორი ყობია „ჩისტილიკი“. შემდეგ ფოთში მიე-მგზავრება ლექციის წასაკითხავად. ს. შონია.

**ხარფუხი.** აქაური დრამატიული წრე შეუჩერებელ მუშაობაშია. მე-ორე წელიწადი გავიდა და მალე მესამეში გადადადგება რაც მოქ-მედობს წრის გამგეობა, ამ წლის იანვრის 31-ში აპირებდა საზოგადო კრების მოწვევას, მაგრამ რადგანაც

ხარფუხში, წინადაც და ეხლაც დი-დი ქარ-ბუქები და შეუწყვეტელი წვიმებია, ამიტომ განზრახვა გან-ზრახვადვე რჩება. წრის გამგე-ობამ გადასწყვიტა: რადგანაც სა-ზოგადოება მაინც და მაინც „დაბე-ჯითებით“ არა თხოულობს, ამიტომ საზოგადო კრების მოწვევა გადაი-ტანოს მომავალ 1915 წ. 38 იან-ვარს, ე. ი. სწორედ იმ დროს, რო-დესაც წრის არსებობის 4 წელიწა-დი შესრულდება და კრება გახსნას დიდის ზემით, თუ რასაკვირველია წევრებიც დაესწრებიან.

დაუდ-ბეგ.

### გ ა ე მ ც ა ნ ა

არც ნიქი აქვს და არც სწავლა, ყველასა ჰკბენს წარა-მარა. გაბლიძული დაბაჯბაჯებს ბრიყვია და მეტიჩარა.

საცა იყვეს ლექსებს სთხზავს ამის ძლიერ მშრომელია, სხვის ნათქვამებს იმეორებს სწორედ ღვერთის მგმობელია...

თვით არ იცის რეებს ჩმახავს ჭორების კი მთხრობელია, ტყუილებით კაცს გაბერავს — აბა მითარ რომელია?

ფრანგი.

### გ ა ს ა რ თ ო ბ ი

ერთხელ ვრავ ლ. ტოლსტოიმ მოსკოვის ერთს ქუჩაზე დაინახა, რომ პოლიციელი მთვრალს კაცს ცემა-ტყეებით პოლიციაში მიათრევდა. ტო-ლსტოიმ ვერ მოითმინა დაპოლიცი-ელს ჰკითხა:

— შენ სახარება წავიკითხავს?  
— არა! — უბასუხა პოლიციელმა.

— მაშ გახსოვდეს და იცოდე, რომ აღამიანისადმი ეგრეთი მოპყრობა ცოდვაა...

— თქვენ წერა-კითხვა იციო? — შეეკითხა პოლიციელი ტოლსტოის.

— ვიცი! — მიუგო ტოლსტოიმ.

— პოლიციელთა ინსტრუქცია წავიკითხავს?

— არა!

— მაშ ჯერ წავიკითხეთ ჩვენნი



როგორ ეგებება აღდგომას მოქალაქე.

ინსტრუქცია და მერე მელაპარაკე!.. — მკვანთ მიუგო პოლიციელმა.

### ჩ ვ ე ნ ი ფ ო ს ტ ა

**ა. ტაფაძეს.** ლექი „დემონის წყვეა“ დღევანდელ პირობებში არ დაიბეჭდება.

„ა-ტაფაძეს“. თქვენი ლექსი „მოგონება“ ვერ იბეჭდება. სხვა რამ მოიგონეთ და გა-მოგზაფნეთ.

**ბ. ეწუშვალს.** თქვენი ლექსი „სიმღერა“ რადგან მწყობრი ვერ არის, ამისათვის სა-რედაქციო კალათაში მღერას.

**ბ.კ. შარმაზანაძეს.** თქვენი ლექი „ვედღენ ზოგიერთ ჩვენ ქალებს“ ასე რომ დაგეწყეთ სჯობდა:

უნდა ესთქვა, რომ ჩემ ისთანა პოეტთ არ ვარგიაო, მხოლო ჩეი ნაწერები რედაქციის ბარგიაო.

**გ. ძამუკოვს.** „ნიკოცხლო და ეშმაკი“ ვერ იბეჭდება. მოგვაწოდეთ სხვა მასალა.

**გ. ევდემონს.** თქვენი ლექი „სულ მუ-კლე ია“ ვერ დაიბეჭდება, რადგან სუსტია.

**ბ. გათათაშაძეს.** თქვენი ლექი „\*“ ვერ დაიბეჭდება, რადგან აკლია რიფმა, ცეზუ-რა, აზრი და მარცვლი, ამისათვის სარედა-ქციო კალათაში ჩაუქანეთ, რომ ყველა ეს ნაკლი შეიფოს.

**ბ. კულაშელს.** „მუშის ბედი“ ვერ დაი-ბეჭდება.

**ხოსო ნატანტაშელს.** თქვენი ნაწარმოევი „ცოდვის ოთახში“ და ლექსი „ხვრინავს, ხვრინავს“ ორივენი სარედაქციო ცუდვის კალათაში ხვრინავენ.

**გ. სუხიაშვილს.** თქვენი ლექსი „ბნე-ლში“ ასე შეეცვალეთ:

საიმედოს ვერას ვხედავ თქვენს ნაწერში და თქვენ ლექსში, სჯობს წერა-კითხვა ისწავლო, დედა ენა! გქონდეს ხელში.

**სამტრედია.** „ლაბტის“ მესამე ნომერში მოთავსებული „გამოცანა სამტრედისა-თვის“, რომელსაც მოწერალი აქვს „შენც-ქე-იცი“ შალვა მანჯგალაძე არ ეკუთვნის.